სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38790647354418

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181265443

რეგისტრაციის თარიღი

12.10.2018 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი,მტკვრის ქ.#4
ტელეფონი: 2952228

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის თორმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. №4, მომმართა **ვაგე ეგორიანმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არ ფლობს ქართულ ენას და ითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულება თარჯიმნის მონაწილეობით. თარჯიმანი **რუზანა ავჩიანი** (დაბადებული 31.12.1986, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანისხევის დასახლება, კორპუსი 10, ბინა 16, ბარათის ნომერი 11IA69459, პირადი ნომერი: 01002022737) მოწვეულ იქნა. რუზანა ავჩიანმა დამიდასტურა, რომ მან იცის შესაბამისი (რუსული) ენა და იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას. მე ასევე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. თარჯიმანი ასევე გავაფრთხილე არასწორი თარგმანის შემთხვევაშ იმისივე პასუხისმგებლობის შესახებ. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილემ დაადასტურა მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ. **ვაგე ეგორიანმა**, როგორც შპს **„დებენი“-ს** (ს/კ:404888662) დირექტორმა, მთხოვა ორენოვანი (ქართულ-რუსული) მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ვაგე ეგორიანმა** (სომხეთის მოქალაქე, დაბ.18/04/1969, გაცხადებული მისამართი: თბილისი, სასტუმრო რედისონი, პასპორტის #AS0243329, გაც.: 22/06/2018, ძალაშია: 22/06/2028) მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18149194, 11/10/2018 16:37:55) და შპს **„დებენი“-ს** (ს/კ:404888662) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **ვაგე ეგორიანი** ნამდვილად არის შპს **„დებენი“-ს** (ს/კ:404888662) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **ვაგე ეგორიანმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რწმუნებულება

მე, **ვაგე ეგორიანმა** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს **„დებენი“-ს** (ს/კ:404888662) დირექტორმა, ამ მინდობილობით, **არტაკ ხაჩატრიანს** (სომხეთის მოქალაქე, დაბ.22.03.1983, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 51, ბინა 17, პირადი #01691011337, ბინადრობის მოწმობის სერია 15TR31132) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

არტაკ ხაჩატრიანი:

1. იცავს **ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის** ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით მას წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საგამოძიებო ორგანოში, შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, სააღსრულებო სამსახურებთან, საარბიტრაჟო სასამართლოსთან (სამსახურთან), ამასთან ერთად, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, პროკურატურაში, შსს მომსახურების სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობებში), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, ნოტარიუსთან, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში;

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად **არტაკ ხაჩატრიანი** უფლებამოსილია **ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის** სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მისი სახელით შეიტანოს სასარჩელო განცხადება სასამართლოში, პროკურატურაში და საგამოძიებო ორგანოში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს და მიიღოს (დაიბრუნოს) სახელმწიფო ბაჟი. გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლებები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. დაამთავროს საქმე მორიგებით. ცნოს სარჩელი;

3. ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით, კერძოდ, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში. სააღსრულებო ფურცლის აღსრულებამდე, შეიტანოს სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროში, საქმე დაამთავროს მორიგებით, გაიხმოს სააღსრულებო ფურცელი ან უარი თქვას სააღსრულებო წარმოებაზე, ასევე ისარგებლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებებით და განახორციელოს მისი სრული წარმომადგენლობა.

4. **არტაკ ხაჩატრიანი** უფლებამოსილია მართოს და განკარგოს ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში შპს **„დებენი“-ს** სახელზე ანგარიშები, გახსნას ახალი ანგარიშები, განახორციელოს თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, დაამზადოს და მიიღოს პლასტიკური ბარათი, ისარგებლოს ბანკის დისტანციური მომსახურებით(ინტერნეტბანკი), მიიღოს სხვა სახის საბანკო მომსახურებანი, ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი საბანკო ცნობა (მათ შორის დავალიანების არ არსებობის შესახებ), აიღოს დიუიპასი, და ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

5. არტაკ ხაჩატრიანი იყოს ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის წარმომადგენელი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული გადასახადების გადახდასთან, დეკლარაციის შევსებასთან, გადამხდელად აღრიცხვასთან, სალარო აპარატის აღებასთან; ასევე მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული შპს „დებენი“-ს მართვასთან.

6. არტაკ ხაჩატრიანი იყოს ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის წარმომადგენელი და დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება ხელშეკრულების ნებისმიერი პირობებით, მათ შორის, დადოს, შეიტანოს ცვლილებები და გააუქმოს ხელშეკრულებები, ასევე დაიქირავოს თანამშრომლები და ხელი მოაწეროს შრომით ხელშეკრულებებს, ასევე გაათავისუფლოს თანამშრომლები და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც იქნება დაკავშირებული შპს „დებენი“-ს საქმიანობასთან.

7. არტაკ ხაჩატრიანი იყოს ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის, ზედამხედველობის და ნებართვების სამსახურში, რათა შპს „დებენი“-ს სახელით აწარმოოს საქმეები პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს კორექტირებული პროექტი და ხელზე მიიღოს დამტკიცებული პროექტი, წარმომადგინოს როგორც მესაკუთრე და დაიცვას ჩემი ინტერესები, ყველა იმ პირობებით, რაც მინიჭებული აქვს მესაკუთრეს. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან.

8. არტაკ ხაჩატრიანი უფლებამოსილია წარმოადგინოს ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის ინტერესები კომუნალური მომსახურების გამწევ ნებისმიერ კომპანიასთან (მათ შორის, სს „თელასთან“,ყაზტრანსგაზთან, წყალკანალთან) ურთიერთობაში და შეასრულოს ყველა ქმედება, რაც საჭირო გახდება შპს „დებენი“-ს კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების გამრიცხველიანებასთან, კომუნალური მომსახურებების ღირებულებების გადასახდელად და მოაგვაროს ყველა საკითხი, რაც იქნება დაკავშირებული აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

9. არტაკ ხაჩატრიანი უფლებამოსილია ვაგე ეგორიანის, როგორც შპს „დებენი“-ს დირექტორის სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, დარეგისტრირდეს (დადგეს) გადამხდელად შემოსავლების სამხახურში, გადაიხადოს გადასახადები, გამოიყენოს შპს „დებენი“-ს ბეჭედი, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2021 (ორი ათას ოცდაერთი) წლის 12 (თორმეტ) ოქტომბრამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. შპს „დებენი“-ს წესდება. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა:

ვაგე ეგორიანი

(შპს „დებენი“-ს დირექტორი)

თარჯიმანი: რუზანა ავჩიანი

ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი

Нотариальный акт

Двенадцатого октября две тысячи восемнадцатого года, ко мне нотариус Грузии Чалаташвили Давиду, нотариальное бюро которого расположено по адресу: город Тбилиси, ул. Мтквари №4, обратился **Ваге Егорян,** который заявил, что не владеет грузинским языком и потребовал совершение нотариального действия с участием переводчицы Авчян Рузанны (31.12.1986 г.р., проживающая в городе Тбилиси, 7-ой м/р., Глданского массива, 15-ый корп., кв. 39. У/Л № 11IA69459,Л№ 01002022737). Авчян Рузанна подтвердила, что владеет русским языком и дает гарантию верности перевода. Я также убедился в его полномочии и предупредил переводчика о последствиях в случае неверного перевода. Всех участников нотариального действия предупредил об обстоятельствах исключающих их участие в качестве свидетеля, участники нотариального действия подтвердили несуществование таких обстоятельств. **Ваге Егорян,** как директор ООО **«Дебени »** (И/К: № 404888662) потребовал составление трехъязычной (грузинско-русской) доверенности и ее заверение нотариальным образом. Я проверила личность **Ваге Егорян** по представленному им документу удостоверения личности (паспорту) и убедился, что ко мне на самом деле обратился **Ваге Егорян** (гражданин Армении, 18/04/1969 года рождения, заявленный адрес: Тбилиси, гостиница Редисон, паспорт № AS0243329, выд.: 22/06/2018, действителен: 22/06/2028). Я проверила его дееспособность, у меня не было оснований для внесения сомнений в его дееспособность. Я также проверила его полномочие на основании выписки из реестра предпринимателей, непредпринимательских (некоммерческих) юридических лиц, номер регистрации дата подготовки выписки: B18149194, 11/10/2018 16:37:55), также на основании устава ООО **«Дебени» и** убедилась, что **Ваге Егорян** действительно является директором ООО **«Дебени»**. После составил данную доверенность, которую **Ваге Егорян** одобрил и в моем присутствии лично подписался под ней.

Доверенность

Я, **Шарапов Бахтияр** (данные указаны выше), как директор ООО **«Дебени»** (И/К: 404888662) предоставил **Артаку Хачатряну** (22.03.1983 года рождения, заявленный адрес: Грузия, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе пр.№51, кв.17 личный № 01691011337 , У/Л № 15TR31132) следующие полномочия:

Артак Хачатрян:

1. Защищает имущественные и неимущественные интересы доверителя, как директора ООО **«Дебени»**, с этой целю представляет его в судах любых инстанций Грузии, во время производства уголовного, гражданского и/или административного дела, в исполнительных службах, в арбитражном суде (службе), вместе с этим в любом министерстве, прокуратуре Грузии, в агентстве обслуживания УВД, в мэрии г. Тбилиси, в органах местного самоуправления (правлении), в национальном агентстве публичного реестра министерства Юстиции Грузии и в его территориальных службах, любом архиве, у нотариуса, в ЮЛПП нотариальной палате Грузии, в национальном агентстве гражданского реестра министерства Юстиции Грузии, в службе управления имуществом, тех. Бюро, в правительственных и неправительственных учреждениях, в доме Юстиции, перед физическими и юридическими лицами, и в любых других организациях, учреждениях.
2. Для осуществления данной доверенности доверенное лицо уполномочено от имени доверителя, совершать все необходимые действия и процедуры, установленные законодательством Грузии, вносить от ее имени исковое заявление, оплатить и получить (вернуть) государственную пошлину. Ознакомиться в материалами дела,

сделать выписку из этих материалов, снять копии, отклонить дело, предъявить доказательства, принимать участие в исследовании доказательств, задавать вопросы свидетелям, экспертам, специалистам, объявить ходатайство перед судом, дать суду письменные и устные разъяснения, предъявить свои выводы и выразить свою точку зрения по поводу любого вопроса связанного с рассматриванием дела, отклонить ходатайства, выводы и аргументы второй стороны, или полностью отказаться от иска, изменить предмет и/или основание иска, увеличить или уменьшить объем искового требования, обжаловать любой судебный акт, предъявить апелляционные или кассационный жалобы и иск, завершить производство дела соглашением, признать иск.

3. Применить 98-ю ст. гражданского процессуального кодекса, в частности предъявить исполнительный лист для исполнения и принимать участие в исполнительских действиях. До исполнения исполнительного листа, внести исполнительный лист в исполнительное бюро, завершить дело соглашением, потребовать исполнительный лист или отказаться от исполнительного производства, а также воспользоваться всеми правами, предоставленными процессуальным кодексом, осуществить полное представительство доверителя.
4. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** в любом филиале любого банка, открыть новые счета, производить взнос/вынос денег, перечисления, получить пластиковую карту, воспользоваться дистанционным обслуживанием банка (интернет банкингом), получить другое банковское обслуживание, выписку из счета, любую банковскую справку (в том числе о не существовании задолженности), получить Ди-джи-пас и любую информацию, также любую информацию, подписывать любые документы и совершать все действия, связанные с выполнением данного поручения.
5. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** в подоходной службе министерства финансов Грузии и решать все вопросы, связанные с оплатой налогов, заполнением деклараций, регистрацией в качестве плательщика, получение кассового аппарата, также решать все вопросы, связанные с управлением ООО **«Дебени».**
6. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** и заключать любые договоры с любыми условиями, в том числе заключить, вносить изменения и аннулировать договор аренды, нанять сотрудников, подписать трудовой договор, увольнять сотрудников и совершать все действия, связанные с деятельностью ООО **«Дебени».**
7. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** быть моим представителем в мэрии г. Тбилиси, в архитектурной службе Тбилиси, в службе надзора и разрешения, что производить от моего имени дела в связи с корректировкой проекта или в связи с соглашением нового строительного проекта, требовать, представлять и получать информацию, документацию и необходимые документы, справки, производить переговоры, принимать решения, представлять корректированный проект и получить утвержденный проект, представлять меня как владельца и защищать мои интересы, со всеми условиями, которые предоставлены владельцу. Оплачивать необходимые налоги и пошлины, подписывать необходимую документацию и совершать все действия, связанные с вышеуказанным поручением.
8. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** в любых компаниях коммунальных услуг (в том числе газовой компании, «Теласи», водоканале, в любой поставляющей интернет компании) и совершать все действия, связанные с регистрацией недвижимого имущества, его регистрации в качестве абонента, для оплаты коммунального обслуживания и решать все вопросы, связанные с выполнением данного поручения.

9. Уполномочен управлять счетом доверителя, как директора ООО **«Дебени»** уполномочен вносить от моего имени заявления, представлять, требовать и получать все справки, документы и свидетельства, оплачивать налоги, подписывать документы и совершать все действия, связанные с выполнением данного поручения.

Доверенность действительна до 12/10/2021 года. Доверенность выдана в 4 экземплярах, один из которых хранится в архиве нотариального бюро нотариуса Чалаташвили Давида, остальные переданы доверителю**.** К тому экземпляру, который хранится в нотариальном бюро Чалаташвили Давида прилагаются следующие документы: 1. Выписка из реестра предпринимателей, непредпринимательских (некоммерческих) юридических лиц**. 2.** Устав ООО **«Дебени».**

Оплачена нотариальная плата, согласно №507 постановления (29/12/2011г.)-«плата за совершение нотариальных действий в размере установленном нотариальной палатой Грузии», О порядке их оплаты и сроках обслуживания, согласно 31 ст.-10 лари, НДС-1.80 лари согласно 169 ст. налогового кодекса Грузии, и согласно 39 ст., стоимость регистрации нот. действия - 2.00 (два) лари. ВСЕГО- 13.80

Доверитель Ваге Егорян **Ваге Егорян**

(Директор ООО **«Дебени»**)

Переводчик: Авчян Рузанна Авчян Рузанна

Нотариус:

